

ოქმი N1

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2019 წელი, 18 იანვარი

ქ. ოზურგეთი

14⁰⁰ -15⁰⁰ საათი

თავმჯდომარეობდნენ: ლ.ბიგვავა - მუდმივმოქმედი კომისიის
თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიათა წევრები: გ. მდინარაძე, ვლ. ლლონტი,
ლ.საჯაია, თ.ტულუში, გ.ჩავლეშვილი, დ.ჭაკნელიძე,
ვლ.ჩავლეშვილი, ლ.მგელაძე, ლ.კილაძე, ტ.აროშიძე.
საკრებულოს წევრები-მ.ჩხიკვიშვილი და გ.ჩაგანავა.

სხდომის თავმჯდომარემ ლ.ბიგვავამ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის
წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.საქართველოს ეროვნული ადმინისტრაციის დაკვეთით შ.პ.ს
„საქკურმინწყლების“ მიერ დამზადებული ურეკი-შეკვეთილის სანაპირო და
სარეკრიაციო სანიტარული დაცვის ზონების პროექტის შესახებ.

მომხს:ლ.ბიგვავა

2.კურორტ გომის მთის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის
დამტკიცებისათვის გამოვლენილი პროცედურების განხორციელების მიზნით
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ.

მომხს:ლ.ბიგვავა

3.მოქალაქე მურთაზ ფოცხიშვილის განცხადების შესახებ.

მომხს:ლ.ბიგვავა

მომხსენებელმა ვრცლად ილაპარაკა ურეკი-შეკვეთილის სანიტარული
დაცვის პროექტსა და მის მნიშვნელობაზე, აღნიშნა, რომ სერიოზული მუშაობა
აქვს გაწეული სპეციალისტთა დიდ წრეს, ჩატარებულია მნიშვნელოვანი
გამოკვლევები, კომისიის წევრებმა მოიწონეს პროექტი და დაამტკიცეს დასკვნა,
რომელიც გადაეგზავნა შესაბამის სახელმწიფო ორგანოს.

მსჯელობა გაიმართა კურორტ გომის მთის მიწათსარგებლობის
გენერალური გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით, მომხსენებელმა აღნიშნა,
რომ ის ხარვეზი, რომელიც არსებობდა გამოსწორებულია-წარმოდგენილია
მოსახლეობასთან კონსულტაციების გამართვის კანონით მოთხოვნილი ოქმი,

ამდენად შეიძლება დასკვნის დამტკიცება და საკითხის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანა.

იმსჯელეს მოქალაქე მ.ფოცხიშვილის განცხადებაზე, რომელიც ითხოვს კაპროვანში მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის დაბრუნებას ან შესაბამისი მიწის ნაკვეთით ან თანხით კომპენსაციას.(მის რეგისტრირებულ ნაკვეთზე გაიარა წყალსადენის ხაზმა, ადგილობრივი ხელისუფლების თხოვნით და მისი თანხმობით ნაკვეთი გადაანაცვლეს, მაგრამ იგი აღმოჩნდა გასხვისებული). კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს წერილობით მიმართონ მუნიციპალიტეტის მერიას მოქალაქის პრობლემის გადაწყვეტის მიზნით.

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

- 1.დამტკიცდეს კომისიის მიერ მომზადებული დასკვნები(თან ერთვის) სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ N1,2 საკითხებზე.
- 2.მოქ. მ.ფოცხიშვილის განცხადება შესაბამის წერილთან ერთად გაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას.

ლავრენტი ბიგვავა



კომისიის თავმჯდომარე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია